## აივ ინფექციის პროფილაქტიკა

ექსპოზირებულ ჯანდაცვის მუშაკებში აივ ინფექციის პროფილაქტიკისთვის გამოიყენება სპეციფიური ანტირეტროვირუსული პრეპარატები, რომელთა მიღება უნდა იქნას დაწყებული რაც შეიძლება ადრე, არა უგვიანეს 36 საათისა. მედიკამენტების დანიშვნისთვის და შემდგომი მონიტორინგისთვის აუცილებელია სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა.


იფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
რეაბილიტაციის ცენტრი, ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირი
თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას 18ა, მე-5 სართ.
ტელ:320303, 390142


## B ჰეპატიტის პროფილაქტიკა

თუ ჯანდაცვის მუშაკი არ არის ვაქცინირებული B ჰეპატიტზე, დაუყოვნებლივ:

ა) გაუკეთდეს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი (ეს პრეპარატი ამჟამად საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი)

ბ)დაიწყოს B ჰეპატიტზე ვაქცინაცია.

თუ ჯანდაცვის მუშაკი ვაქცინირებულია B ჰეპატიტზე:

ჩაუტარდეს გამოკვლევა ანტიHBს –ზე.

ა) თუ დადებითია, არავითარ ჩარევას აღარ საჭიროებს და B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების რისკი აღარ არსებობს

ბ) თუ უარყოფითია, ვუკეთებთ იმუნოგლობულინს და ვაქცინას.

## C ჰეპატიტის პროფილაქტიკა

ამჟამად არ არსებობს C ჰეპატიტის სპეციფიკური პროფილაქტიკა. ექსპოზირებულ ჯანდაცვის მუშაკს ჯერ უნდა ჩაუტარდეს საწყისი გამოკვლევა იმის დასადგენად, ინფიცირებული იყო თუ არა C ჰეპატიტის ვირუსით ექსპოზირებამდე.

იმის დასადგენად, ინფიცირდა თუ არა ჯანდაცვის მუშაკი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროა გამოკვლევა 4-6 თვის შემდეგ C ჰეპატიტის ანტისხეულებზე და ALთ-ზე.

უფრო ადრეული დიაგნოსტიკისთვის HCV რნმ-ზე გამოკვლევა შესაძლებელია ექსპოზირებიდან 4-6 კვირაში.

გამოკვლევის ჩატარებამდე ექსპოზირებულმა ჯანდაცვის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს დონორობისგან.

## როგორ დავიცვათ თავი სისხლით გზით გადამდები ინფექციებისაგან

- სიფრთხილით მოვეკიდოთ ბასრ ინსტრუმენტებს
  - ნემსის ან ბასრი ინსტრუმენტის გამოყენებამდე დავრწმუნდეთ, რომ კონტეინერი, რომელშიც იგი გამოყენების შემდეგ უნდა მოთავსდეს, იქვე, ახლოს დევს
  - გამოყენებისთანავე მოვათავსოთ სპეციალურ კონტეინერში
  - მაქსიმალურად გამოვიყენოთ უსაფრთხო ნემსები და სისტემები

ჯანდაცვის მუშაკების ინფიცირების ერთ-ერთი ხშირი მიზეზია გამოყენებულ ნემსზე თავსახურის მორგება. ამის მიზეზი კი უმრავლეს შემთხვევაში არის ის, რომ ახლოს არ იმყოფება შესაბამისი კონტეინერი, რომელშიც ნახმარი ნემსი თავსახურის წამოცმის გარეშე უნდა მოთავსდეს.

- პაციენტთან კონტაქტის შემდეგ გულდასმით დავიბანოთ ხელები (თუნდაც ხელთათმანის ხმარების შემთხვევაში)
- სისხლთან ნებისმიერი შეხებისას გამოვიყენოთ ხელთათმანი
- თუ არსებობს სისხლის შეშხეფების რიკი, გამოვიყენოთ სათვალე და ნიღაბი
- დაზიანებული კანი ყოველთვის დაფარული გვქონდეს წყალგაუმტარი საფენით
- სისხლის ტრანსპორტირება მოხდეს მხოლოდ მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით
- დასვრილი თეთრეულის ტრანსპორტირება მოხდეს მხოლოდ მჭიდროდ დახურული წყალგაუმტარი ჩანთით ან პაკეტით
- მაქსიმალურად ვერიდოთ ნახმარ ინსტრუმენტებთან შეხებას.

## როგორ მოვიქცეთ ნემსის ჩხვლეტის ან კანის/ლორწოვანი გარსების სისხლით დასვრის შემთხვევაში

- ნემსის ჩხვლეტის შემთხვევაში ნაჩხვლეტიდან გამოვიდინოთ სისხლის მაქსიმალური რაოდენობა
- ნაჩხვლეტი ან სისხლით დასვრილი კანი დავიბანოთ თბილი წყლით და საპნით
- სისხლის თვალში შეშხეფების შემთხვევაში გულდასმით დავიბანოთ თვალი ცივი წყლით ან ფიზიოლოგიური ხსნარით